საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1731 2016 წლის 24 აგვისტო ქ. თბილისი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეს უფლება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №1533 განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა, 881 600 (რვაას ოთხმოცდაერთი ათას ექვსასი) ლარის ფარგლებში, განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით, კერძოდ:

ა) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ცენტრალური წყალსადენის წყალსაქაჩი სადგურის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციის სამუშაოები - 679 000 (ექვსას სამოცდაცხრამეტი ათასი) ლარის ფარგლებში;

ბ) ადგილობრივი მნიშვნელობის ჩოხატაური - ბუკისციხის საავტომობილო გზის (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკისციხის მიმდებარედ) დაზიანებული მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოები - 202 600 (ორას ორი ათას ექვსასი) ლარის ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**